European Bank
for Reconstruction and Development

Independent
Project
Accountability
Mechanism

MAP მონიტორინგის დასკვნითი ანგარიში

ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტი
EBRD-ის პროექტის ნომერი 46778
საქმე 2018/08

ივნისი 2026

პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM) EBRD–ის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმია. ის განიხილავს პროექტით დაზარალებული ადამიანებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ წამოჭრილ, გარემოს დაცვის, სოციალურ და პროექტის საჯაროობასთან დაკავშირებულ საკითხებს. IPAM–ს აქვს რეაგირების ორი საშუალება: i) პრობლემის მოგვარება, რომელიც მხარს უჭერს მოსარჩელესა და კლიენტებს შორის დიალოგს, ბრალის ან დანაშაულის მიკუთვნების გარეშე; ან ii) შესაბამისობის მიმოხილვა, რომელიც განსაზღვრავს შეასრულა თუ არა, EBRD-მა თავისივე გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკა და ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა პროექტთან დაკავშირებით.
IPAM–ის შესახებ ინფორმაციისთვის, გთხოვთ, დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე: ipam@ebrd.com ან ეწვიეთ the IPAM webpage.

საკონტაქტო ინფორმაცია

პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM)
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
5 ბანკის ქუჩა
ლონდონი, E14 4BG
ტელ: +44 (0)20 7338 6000
Email: ipam@ebrd.com

როგორ შევიტანოთ საჩივარი IPAM-ში
EBRD-ის პროექტის გარემოს დაცვის და სოციალური კუთხით შესრულებასთან დაკავშირებული საკითხების გასაჩივრება შესაძლებელია ელ. ფოსტით, ტელეფონით ან მითითებულ მისამართზე წერილის გამოგზავნით ან ონლაინ ფორმის შევსებით

https://www.ebrd.com/project-finance/ipam.html

სარჩევი

აბრევიატურების სია _____ Error! Bookmark not defined.
მოკლე შეჯამება _____ Error! Bookmark not defined.
1. შესავალი _____ 7
2. საქმე 2018/08 ნენსკრა HPP დახურვა _____ Error! Bookmark not defined.
3. მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა და შესრულების სტატუსი დღეისათვის _____ 12
4. მიღებული გამოცდილება და გამოწვევები _____ Error! Bookmark not defined.
დასკვნა _____ 16

აბრევიატურები

აბრევიატურა	სრული ფორმა
CIA	კუმულაციური ზემოქმედების შეფასება
CSO	სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია
Bank (or EBRD)	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
EPC	ინჟინერიის, შესყიდვებისა და მშენებლობის კონტრაქტი
ESIA	გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასება
ESAP	გარემოს დაცვისა და სოციალური სამოქმედო გეგმა
ESD	EBRD-ის გარემოს დაცვის და მდგრადი განვითარების დეპარტამენტი
ESP	EBRD-ის გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა
GBHV	გენდერული შევიწროება და ძალადობა
GIP	კარგი საერთაშორისო პრაქტიკა
IFI	საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტი
IPAM	დამოუკიდებელი პროექტის ანგარიშვალდებულების მექანიზმი
LALRP	მიწის შეძენა და საარსებო წყაროს აღგენის გეგმა
MAP	მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა
PAP/Policy	IPAM-ის ანგარიშვალდებულების პოლიტიკა (2019)
PCM	პროექტის გასაჩივრების მექანიზმი (IPAM-ის წინამორბედი)
PR	შესრულების მოთხოვნები
Project	ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტი (46778) საქართველოში
PSDs	პროექტის შემაჯამებელი დოკუმენტები
TC	ტექნიკური თანამშრომლობა

მოკლე შეჯამება

წინამდებარე ანგარიში შეეხება IPAM-ის მიერ საქართველოში ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტთან დაკავშირებული 2018/08 საქმის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის დასრულებას. საქმე დაიწყო 2018 წლის 31 მაისს ნენსკრა ჰესის პროექტთან (Nenskra HPP (46778) დაკავშირებული საჩივრით, რომელიც წარმოადგინეს საქართველოს ჭუბერის თემის წევრებმა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში საერთაშორისო ბანკების საქმიანობის მაკონტროლებელი ქსელსა (CEE Bankwatch Network) და „მწვანე ალტერნატივასთან“ ერთად. შესაბამისობის მიმოხილვამ გამოავლინა 2014 წლის გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკის ხუთ შესრულების მოთხოვნასთან შეუსაბამობა და წარმოადგინა თერთმეტი პროექტის დონის და სისტემური რეკომენდაცია აღნიშნული შეუსაბამობის მოსაგვარებლად. მენეჯმენტმა მოამზადა მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცდა 2020 წლის აგვისტოში და რომელსაც IPAM მონიტორინგს უწევდა დოკუმენტების მიმოხილვის, მენეჯმენტთან თანამშრომლობისა და მოსარჩელეებთან შეხვედრების გზით.

MAP მონიტორინგის დასრულების მიზეზი მენეჯმენტის მიერ IPAM-სთვის გაგზავნილი შეტყობინებაა პროექტის შეჩერებასთან დაკავშირებით. დარჩენილი MAP ქმედებები უშუალოდ პროექტის განხორციელებას უკავშირდება. იმის გამო, რომ პროექტის აქტიური ციკლი შეჩერებულია, მონიტორინგის გაგრძელება არ წარმოადგენს მნიშვნელოვან საფუძველს იმ ქმედებების განხორციელების შესაფასებლად, რომლებიც დამოკიდებულია პროექტის განახლებულ მომზადებაზე, გაზიარებაზე, კონსულტაციაზე, სათანადო შემოწმებაზე ან საბჭოს განხილვაზე. ამრიგად, დახურვა ასახავს პროექტის გაუქმებით გამოწვეულ პრაქტიკულ შეზღუდვას და არა იმას, რომ MAP-ის ყველა ვალდებულება შესრულებულია ან რომ შესაბამისობის მიმოხილვის ძირითადი დასკვნები აღარ არის აქტუალური.

პროექტის შეჩერება პირობითია. თუ პროექტი განახლდება, დიდწილად რესტრუქტურიზდება ან ხელახლა წარედგინება EBRD-ის საბჭოს დასამტკიცებლად ან მხარდაჭერისთვის, შესაბამისი MAP ვალდებულებები ხელახლა უნდა ამოქმედდეს და მოგვარდეს განახლებული გარემოს დაცვისა და სოციალური წინასწარი კვლევის ფარგლებში. პროექტის ნებისმიერი სამომავლო განხილვამ უნდა გაითვალისწინოს განახლებული პოლიტიკის მოთხოვნები, პროექტის კონტექსტში ცვლილებები, ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი თემებისა და მათი მრჩევლების მიერ გამოთქმულ შეშფოთება და შესაბამისობის მიმოხილვისა და MAP მონიტორინგის პროცესის მეშვეობით გამოვლენილი პროექტთან დაკავშირებულ დაუსრულებელი ქმედებები.

მონიტორინგის პროცესმა მნიშვნელოვანი გამოცდილება შეგვძინა მომავალში მენეჯმენტის სამოქმედო გეგმების განხორციელების კუთხით. ცხადი გახდა, რომ საჭიროა მკაფიოდ განვასხვავოთ სისტემური ქმედებები, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელია პროექტის მიმდინარეობისგან დამოუკიდებლად და უშუალოდ პროექტის ქმედებები, რომლებიც დამოკიდებულია კლიენტის საქმიანობაზე, პროექტის ეტაპებზე ან დაფინანსების გადაწყვეტილებებზე. პროცესმა ასევე გვაჩვენა რეალისტური ვადების, მკაფიოდ განსაზღვრული დამოკიდებულებების და საბჭოსთვის გამჭვირვალე ანგარიშგების მნიშვნელობა, როდესაც განხორციელების თავდაპირველი ვადები ვერ სრულდება, ასევე დასრულების კრიტერიუმების, რომლებიც განსაზღვრავს, მოითხოვს თუ არა ქმედება დოკუმენტის მომზადებას, გაზიარებას, კონსულტაციას, განხორციელებას თუ შედეგებთან დაკავშირებულ მტკიცებულებას.

ხსენებულმა საქმემ ასევე თვალსაჩინო გახადა დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა და დროული გაზიარების განსაკუთრებულ მნიშვნელობა. მონიტორინგის დროს, მოსარჩელეებმა გამოთქვეს შეშფოთება, რომ ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემები და მათი მრჩევლები საკმარისად არ იყვნენ ინფორმირებულნი ან კონსულტაციებში ჩართულნი MAP-ის ფარგლებში მომზადებულ კვლევებსა და ანგარიშებთან დაკავშირებით. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან გაზიარება და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა შესაბამისობის მიმოხილვაში გამოვლენილ საკითხებს შორის იყო. ამრიგად, MAP-ის მომავალმა განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს, რომ ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ადამიანებმა მიიღონ დროული,

ხელმისაწვდომი და შესაბამისი ინფორმაცია და რომ კონსულტაციის პროცესები დაიგეგმოს ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს ადეკვატური ჩართულობა.

მონიტორინგის დროს წარმოშობილ ძირითად გამოწვევებს შორის იყო პროექტის საგრძნობი შეფერხება, Covid-19-ით გამოწვეული შეზღუდვები, EPC კონტრაქტორის შეცვლა, რამდენიმე MAP ქმედების პროექტის ეტაპებზე დამოკიდებულება, გარკვეული სისტემური ქმედებების დასრულების გაჭიანურება, გაურკვევლობა იმის შესახებ, თუ რა უნდა მოხდეს ტექნიკურად დასრულებული, მაგრამ გამოუქვეყნებელი ან განუხორციელებელი კვლევების შემთხვევაში და ანგარიშვალდებულების შენარჩუნების აუცილებლობა, როდესაც პროექტი გაუქმებულია ყველა მაკორექტირებელი ქმედების დასრულებამდე.

ეს ანგარიში გამოქვეყნდება IPAM-ის საქმის რეესტრში ვებ-ფაილის ფორმით, საქმე 2018/06-ის სახელით, ინგლისურ და ქართულ ენებზე, EBRD-ის დირექტორთა საბჭოსა და პრეზიდენტისთვის ინფორმაციის მისაღებად წარდგენის შემდეგ. ანგარიშის გამოქვეყნებისთანავე, ამ საქმის დამუშავება ოფიციალურად დასრულდება.

1. შესავალი

საქმე თავდაპირველად IPAM-ის წინამორბედის, პროექტის გაასაჩივრების მექანიზმის ფარგლებში იქნა მიღებული და დამუშავებული 2014 წლის PCM-ის პროცედურული წესების შესაბამისად. 2020 წლის 1 ივლისს ძალაში შევიდა 2019 წლის პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკა, რომელმაც ჩაანაცვლა PCM-ის ჩარჩო. პოლიტიკის გარდამავალი დებულებების თანახმად, ნენსკრას მართვის სამოქმედო გეგმის მონიტორინგი IPAM-ის ფარგლებში გაგრძელდა.

შესაბამისობის მიმოხილვის დასრულების შემდეგ, შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიში და მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა წარედგინა EBRD-ის დირექტორთა საბჭოს 2020 წლის ივლისში. MAP დამტკიცდა 2020 წლის აგვისტოში და გამოქვეყნდა IPAM-ის საქმეთა რეესტრში, რაც მენეჯმენტის ვალდებულებების შემდგომი მონიტორინგის განხორციელების საფუძველი გახდა.

სარჩელი

საჩივარი, 2018 წლის 31 მაისს, საქართველოს ჭუბერის თემის წევრებმა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში საერთაშორისო ბანკების საქმიანობის მაკონტროლებელი ქსელსა (CEE Bankwatch Network) და „მწვანე ალტერნატივასთან“ ერთად წარმოადგინეს. სარჩელი შეეხებოდა ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტს და ამტკიცებდა, რომ პროექტს შესაძლოა გამოეწვია საგრძნობი გარემოს დაცვისა და სოციალური ზემოქმედება ნენსკრასა და ნაკრას ხეობებში, მათ შორის, ადგილობრივ თემებზე, საარსებო წყაროებზე, კულტურულ მემკვიდრეობასა და მიმდებარე ბუნებრივ გარემოზე.

სარჩელის მთავარი საკითხი პროექტის არეალში მცხოვრებ სვანურ თემებს უკავშირდებოდა. მოსარჩელეები აცხადებდნენ, რომ EBRD-მა სათანადოდ არ შეაფასა, აკმაყოფილებდნენ თუ არა სვანები მკვიდრი მოსახლეობის შესახებ მე-7 შესრულების მოთხოვნის გამოყენების კრიტერიუმებს და არ უზრუნველყო ამ საკითხთან დაკავშირებით დაზარალებულ თემებთან მნიშვნელოვანი კონსულტაციები. მათ ასევე გამოთქვეს შეშფოთება, რომ პროექტს შეეძლო გავლენა მოეხდინა სვანური თემების კულტურულ იდენტობაზე, ტრადიციებზე, სოციალურ ერთიანობასა და ცხოვრების წესზე.

სარჩელი ასევე ეჭვქვეშ აყენებდა გარემოს დაცვისა და სოციალური შეფასების პროცესის ადეკვატურობას. გამოთქმული იყო შეშფოთება კუმულაციური ზემოქმედების შეფასებასთან დაკავშირებით, მათ შორის, პროექტის არეალში სხვა გონივრულად პროგნოზირებადი აქტივობების გათვალისწინების აუცილებლობასთან და პროექტის ალტერნატივების ანალიზის ადეკვატურობასთან, ადგილმდებარეობის შერჩევისა და დიზაინის ჩათვლით, და იძლეოდა იყო თუ არა გარემოს დაცვისა და სოციალური კვლევები საკმარის ინფორმაციას ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანებისთვის პროექტის რისკებისა და ზემოქმედების გასაგებად და უკუკავშირისათვის.

საჩივარში ასევე გამოთქმული იყო შეშფოთება მიწის შეძენასთან, საარსებო წყაროს აღდგენასთან და დაინტერესებული მხარეების ჩართულობასთან დაკავშირებით. მოსარჩელეები ხაზს უსვამდნენ საარსებო წყაროს აღდგენის მიდგომაში არსებულ ხარვეზებს და გამოთქვამდნენ შეშფოთებას ინფორმაციის გაზიარებასთან, კონსულტაციის პროცესებთან და კლიენტის შესაძლებლობასთან დაკავშირებით ემოქმედა EBRD-ის გარემოს დაცვისა და სოციალური სტანდარტების შესაბამისად. მათ ასევე გამოთქვეს შეშფოთება გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული პოტენციური რისკების და მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შეფასებისა და ზემოქმედების შემცირების ადეკვატურობის შესახებ.

ამგვარად, მოთხოვნაში წამოჭრილი იყო როგორც უშუალოდ პროექტთან დაკავშირებული საკითხები, ასევე უფრო ფართო კითხვები EBRD-ის მიერ 2014 წლის გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკის ფარგლებში პროექტის შეფასებასა და ზედამხედველობასთან დაკავშირებით. შესაბამისობის მიმოხილვის ფარგლებში

შემდგომში შეფასებული საკითხები შეეხებოდა მკვიდრი მოსახლეობის მოთხოვნებს, კუმულაციურ ზემოქმედებას, ალტერნატივების შეფასებას, გენდერულ საკითხებთან დაკავშირებულ რისკებს, მიწის შეძენას და საარსებო წყაროს აღდგენას, კულტურულ მემკვიდრეობას, ინფორმაციის გაზიარებასა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობას.

პროექტი

პროექტი - ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტი საქართველოში, EBRD-ის პროექტის ნომრით 46778. პროექტის ფარგლებში იგეგმებოდა 280 მეგავატიანი ჰიდროელექტროსადგურის განვითარება და მშენებლობა ნენსკრასა და ნაკრას მდინარეებზე, დიდი კაშხლისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ჩათვლით, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს სვანეთის რეგიონში. პროექტი ხორციელდებოდა ნენსკრასა და ნაკრას ხეობებში, მესტიის მუნიციპალიტეტში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში.

EBRD-ის საბჭომ პროექტი 2018 წლის 31 იანვარს დაამტკიცა. EBRD-ის დაფინანსება მოიცავდა 214 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხს სს „ნენსკრა ჰიდროსთვის“, რომელიც საქართველოში პროექტის განვითარებისა და მშენებლობისთვის შექმნილი სპეციალური დანიშნულების ორგანიზაციაა. პროექტი შეიმუშავა „კორეის წყლის რესურსების კორპორაციამ”, პროექტის კომპანიის სტრუქტურაში ასევე ჩართული იყო სს „საპარტნიორო ფონდი“.

EBRD-ის 2014 წლის გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკის მიხედვით პროექტს მინიჭებული აქვს A კატეგორია. ეს კლასიფიკაცია ასახავდა შემოთავაზებული ახალი ჰიდროელექტროსადგურის განვითარების მასშტაბსა და სირთულეს, მათ შორის დიდი კაშხლის მშენებლობას და საგრძნობ გარემოს დაცვისა და სოციალური ზემოქმედებას. A კატეგორიის პროექტისათვის საჭირო იყო EBRD-ის შესრულების მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ოფიციალური და მონაწილეობითი გარემოს დაცვისა და სოციალური ზემოქმედების შეფასების ჩატარება.

პროექტის ზემოქმედების არეალი მოიცავდა ჭუბერს და უფრო ფართოდ სვანეთის რეგიონს, მათ შორის პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ სვანურ თემებს ნენსკრასა და ნაკრას ხეობებში. მოსარჩელეები აცხადებდნენ, რომ პროექტმა სათანადოდ არ შეაფასა ან არ გაითვალისწინა სვანებზე, როგორც მკვიდრ მოსახლეობაზე, პოტენციური ზემოქმედება, მათ შორის კულტურაზე, საარსებო წყაროებზე, ჯანმრთელობაზე, ზოგად კეთილდღეობაზე, საცხოვრებელ პირობებსა და სოციალურ სტრუქტურაზე.

საჯაროდ ხელმისაწვდომ EBRD-ის პროექტთან დაკავშირებულ ინფორმაციაში და IPAM-ის საქმეთა რეესტრში პროექტის სტატუსი ამჟამად მითითებულია, როგორც გაუქმებული. მენეჯმენტმა IPAM-ს აცნობა, რომ პროექტი გაუქმდა.

შესაბამისობის განხილვის შედეგების შეჯამება

შესაბამისობის მიმოხილვის შედეგად დადგინდა, რომ ბანკმა არ შეასრულა 2014 წლის გარემოს დაცვის და სოციალური პოლიტიკის შესრულების მოთხოვნები 7, 1, 5, 8 და 10. დასკვნები ეხებოდა ბანკის შეფასების ნაკლოვანებებს, ასევე კლიენტის მიერ ძირითადი გარემოს დაცვის და სოციალური საკითხების შეფასებისა და მართვის შემდგომ ქმედებებს.

- მკვიდრი მოსახლეობის შესახებ PR7-თან დაკავშირებით, შესაბამისობის მიმოხილვამ აჩვენა, რომ ბანკის მენეჯმენტმა სათანადოდ არ შეაფასა კლიენტის მიერ PR7-ის შესარჩევი კრიტერიუმების პოტენციური გამოყენების შესწავლა და არ უზრუნველყო შესაბამისი მოთხოვნების შესრულება, მათ შორის, პროექტის თემებთან კონსულტაციების ჩატარება.

- გარემოს დაცვის და სოციალური საკითხების შეფასებისა და მართვის შესახებ PR1-თან დაკავშირებით, შესაბამისობის მიმოხილვამ აღმოაჩინა ხარვეზები კუმულაციური ზემოქმედების შეფასებასა და ალტერნატივების ანალიზში, მათ შორის გარემოს დაცვის და სოციალური ზემოქმედების არასაკმარისი გათვალისწინება.

- მიწის შესყიდვის, იძულებითი განსახლებისა და ეკონომიკური გადაადგილების შესახებ PR5-თან დაკავშირებით, შესაბამისობის მიმოხილვამ აჩვენა, რომ ბანკის მენეჯმენტს არ უცდია იმის უზრუნველყოფა, რომ დაკმაყოფილებულიყო საარსებო წყაროს აღდგენის მოთხოვნები.

- კულტურული მემკვიდრეობის შესახებ PR8-თან დაკავშირებით, შესაბამისობის მიმოხილვამ აჩვენა, რომ ბანკმა კლიენტის შეფასება დაამტკიცა საზოგადოებასთან კონსულტაციის მნიშვნელოვანი მოთხოვნების დაკმაყოფილების უზრუნველყოფის გარეშე.

- ინფორმაციის გაზიარებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის შესახებ PR10-თან დაკავშირებით, შესაბამისობის მიმოხილვამ აჩვენა, რომ ბანკის მენეჯმენტმა სათანადოდ არ მოაგვარა კლიენტის შესაძლებლობებთან და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მოთხოვნების შესრულების ვალდებულებასთან დაკავშირებული საკითხები.

2. ნენსკრა ჰესის საქმე 2018/08 დახურვა

მენეჯმენტმა IPAM-ს აცნობა, რომ პროექტი შეჩერებულია, რაც ასახულია საჯაროდ ხელმისაწვდომ პროექტის შემაჯამებელ დოკუმენტებში (PSD) (იხილეთ აქ).

პროექტის გაუქმებისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის (MAP) ფარგლებში განსახორციელებელი ქმედებები მხოლოდ პროექტის რეკომენდაციებს ეხება, IPAM MAP-ის მონიტორინგს აჩერებს.

2020 წელს მენეჯმენტმა განსაზღვრა თერთმეტი ქმედება შესაბამისობის აღსადგენად, რომელთაგან ხუთი დღეისათვის დახურულია (დასრულებულია) და დანარჩენი ექვსი განუხორციელებელი რჩება. დარჩენილი დაუსრულებელი ქმედებები კონკრეტულად პროექტს უკავშირდება. თუ ტრანზაქცია ხელახლა წარედგინება საბჭოს დასამტკიცებლად, მენეჯმენტს დასჭირდება გარემოს დაცვის და სოციალური ზემოქმედების ახალი შეფასების ჩატარება და ქმედებების განხორციელების ვალდებულება ხელახლა ამოქმედდება.

მონიტორინგის დასრულება პირობითია: თუ მენეჯმენტი გადაწყვეტს პროექტის საბჭოსთვის ხელახლა წარდგენას, მათი ვალდებულება, განახორციელონ MAP-ის ქმედებები, ხელახლა ამოქმედდება. საბჭომ უნდა უზრუნველყოს, რომ მენეჯმენტმა გააგრძელოს ამ პირობის შესრულება.

როგორც მენეჯმენტმა საბჭოსთვის წარდგენილ შესაბამის შენიშვნაში აღნიშნა: „იმ ნაკლებად მოსალოდნელ შემთხვევაში, თუ პროექტი კვლავ მოიძიებს დაფინანსებას EBRD-ისგან, საჭირო იქნება დეტალური წინასწარი კვლევის პერიოდი (მინიმუმ 12 თვე), რაც საკმარის შესაძლებლობას მოგვცემს IPAM-თან ხელახლა ვიმუშავოთ დარჩენილ რეკომენდაციებთან, განახლებულ პოლიტიკის მოთხოვნებთან და სხვა ფაქტორებთან დაკავშირებით. თუმცა, მანამდე შემდგომი ქმედებები შეუძლებელია, მენეჯმენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ვალდებულებას, განიხილოს IPAM-ის და დაინტერესებული მხარეების შეშფოთება იმ დროს, როდესაც შესაძლებელი იქნება დადებითი ქმედებების განხორციელება“.

ქვემოთ მოცემულია დამატებითი ინფორმაცია, რომელიც იძლევა კონტექსტს საქმის შესაბამისობის მიმოხილვის შემდეგ შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად გაცემული რეკომენდაციების შესახებ, ასევე იმ ქმედებების სია, რომლებზეც მენეჯმენტმა აიღო ვალდებულება ამგვარ საკითხებზე რეაგირების მიზნით.

PCM-ის რეკომენდაციები შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად

2020 წლის აგვისტოში PCM-ის (IPAM-ის წინამორბედი) მიერ ჩატარებული შესაბამისობის მიმოხილვის შემდეგ, ხსენებული საქმის ფარგლებში გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად ბანკის მენეჯმენტს თერთმეტი რეკომენდაცია მიეცა. აქედან ოთხი სისტემური და პროცედურული ხასიათისაა, ხოლო შვიდი - უშუალოდ პროექტთან დაკავშირებული. ქვემოთ მოცემულია ამ რეკომენდაციების მიმოხილვა.

სისტემური და პროცედურული რეკომენდაციები

- EBRD–ის კლიენტებისადმი არსებული მოთხოვნებისთვის სისტემური დაკვირვების ინსტრუმენტის შექმნა, რაც ბანკის მენეჯმენტს საშუალებას მისცემს უკეთ უზრუნველყოს პროექტთან დაკავშირებული მოთხოვნების ეფექტურად განხორციელება ESP–ის შესაბამისობასთან მიმართებით.
- მკაფიო, დეტალურად გაწერილი სახელმძღვანელო პოლიტიკის შემუშავება კლიენტებისთვის ESP-ის PR7-ის მკვიდრი მოსახლეობის შესრულების სტანდარტების ეფექტური შეფასებისათვის (2014 წლის ESP-ისთვის, ასევე ESP-ის სხვა ვერსიებისთვის);

- იმ შემთხვევაში, როცა მესამე მხარეა პასუხისმგებელი პროექტის ადგილმდებარეობის განსაზღვრაზე, დიზაინსა და ალტერნატივების შეფასებაზე, კლიენტს მოეთხოვებოდეს, რომ მიმართონ შესაბამის მესამე მხარეებს და მოითხოვონ, რომ ამ პროცესებში გათვალისწინებული იყო გარემოს დაცვის და სოციალური მოსაზრებები;

- EBRD-ის ESD-ის გუნდის შესაძლებლობების გაძლიერება გენდერულ საკითხებში და ამ სფეროში ფართო გამოცდილებისა და შესაძლებლობების მქონე გარე კონსულტანტების გამოყენების უზრუნველყოფა.

პროეტის რეკომენდაციები

- ზომების მიღება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ნენსკრა ჰესის პროექტისთვის ჩატარდეს PR7 შესაფერისობის კრიტერიუმების გაფართოებული შეფასება, რომელიც მოიცავს შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიშში ასახულ ყველა IFI GIP მეთოდოლოგიას;

- კუმულაციური ზემოქმედების შეფასებაში (CIA) გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა.

- პროექტის ალტერნატივების ანალიზში გამოვლენილი ხარვეზების მოგვარება.

- გენდერული ზემოქმედების შეფასების დამატებითი ნაბიჯების ხელშეწყობა, იმ საკითხების შესაფასებლად, რომელიც არ არის ამომწურავად მოგვარებული კლიენტის გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასების მეშვეობით და შემამსუბუქებელი ზომების განსაზღვრა.

- კლიენტთან თანამშრომლობა მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმაში (LALRP) არსებული ხარვეზების მოსაგვარებლად.

- კულტურული მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასების შემდგომი ეტაპის ხელშეწყობა, რათა დადგინდეს პოტენციური ზემოქმედება არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობაზე პროექტის არეალში, რომელიც სრულად არ არის ასახული კლიენტის გარემოზე და სოციალურ გარემოზე გავლენათა შეფასებაში და შეიქმნას შესაბამისი შემარბილებელი ზომები პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან კონსულტაციით.

- იმის უზრუნველყოფა, რომ 2014 წლის ESP-ის 30-ე პუნქტის შესაბამისად, კლიენტის გარემოს დაცვის და სოციალური გუნდის ყველა წევრი ფლობდეს საჭირო კომპეტენციასა და შესაძლებლობებს პროექტის სირთულეებისა და სენსიტიურობის სამართავად, ბანკის გარემოს დაცვის და სოციალური სტანდარტების შესაბამისად.

3. მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა და ქმედებების სტატუსი დღეისათვის

PCM-ის დასკვნებისა და რეკომენდაციების საპასუხოდ, ბანკმა მოამზადა მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა, რომელიც დაამტკიცა საბჭომ და რომელიც გამოქვეყნდა 2020 წლის აგვისტოში. MAP-ში დეტალურად არის აღწერილი 11 განსახორციელებელი ქმედება. **თერთმეტიდან ოთხი (სისტემური და პროცედურული ხასიათის) დასრულებულია, ხოლო შვიდი (უშუალოდ პროექტთან დაკავშირებული)** კვლავ ღიად რჩება. ბოლო მონიტორინგის ანგარიში გამოქვეყნდა IPAM-ის მიერ 2024 წლის მაისში და დამატებით დეტალებს გვაწვდის ამ ქმედებების განხორციელების შესახებ.

ამ დასკვნითი ანგარიშის მიზნებისთვის, ქვემოთ შეჯამებულია ქმედებების სია და მათი განხორციელების სტატუსი დღეისათვის:

მენეჯმენტის ქმედება 1: EBRD–ის კლიენტებისადმი მოთხოვნებისთვის შემუშავდეს და განხორციელდეს სისტემური დაკვირვების მექანიზმი, რაც ბანკის მენეჯმენტს საშუალებას მისცემს უზრუნველყოს პროექტთან დაკავშირებული მოთხოვნების დროულად განხორციელება ESP–ის შესრულებასთან მიმართებით. ეს სისტემა იქნება გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების დეპარტამენტის (ESD) უზრუნველყოფის ჩარჩოს შემადგენელი და გამოყენებული იქნება ყველა A კატეგორიის პროექტისთვის, რაც საშუალებას მისცემს ჩაწეროს, თვალყური ადევნოს და დახუროს კლიენტებისთვის მიწოდებული მიმოხილული კომენტარები.

ქმედების სტატუსი: დასრულებული

მენეჯმენტის ქმედება 2: შესწორებული PR7-ის ხარვეზების ანალიზი 2019 წლის ESP-ში და ახალი PR7 სახელმძღვანელო შენიშვნა, რომელიც ამჟამად მზადდება ამ რეკომენდაციის გათვალისწინებით, რათა მოხდეს ყველა ელემენტის გათვალისწინება. დასრულდეს და გამოაქვეყნდეს PR7 სახელმძღვანელო მითითება.

ქმედების სტატუსი: დასრულებული

მენეჯმენტის ქმედება 3: (i) ალტერნატივების შეფასებისთვის კარგი საერთაშორისო პრაქტიკის განსაზღვრა და მისი, როგორც შიდა სახელმძღვანელოს, მიღება ESD-ის გარანტიის ჩარჩოს ნაწილად. (ii) შიდა ინსტრუქციების მომზადება გასაზიარებლად, როდესაც ალტერნატივების ანალიზი უკვე განხორციელდა ბანკის პროექტში ჩართვამდე და ბანკის მიერ ასეთი ანალიზის განხილვის შედეგები GIP-ისთან მიმართებაში.

ქმედების სტატუსი: დასრულებული

მენეჯმენტის ქმედება 4: (I) გენდერული ძალადობისა და შევიწროების იდენტიფიკაციისა და მენეჯმენტის ინსტრუქცია ამჟამად დასრულების პროცესშია და გამოქვეყნდება EBRD-ისა და კლიენტების მიერ გამოყენებისთვის. (ii) შემუშავებდა GBVH-ის რისკების სკრინინგის ინსტრუმენტები და 2019 წელს ESD-ის პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგი გენდერულ ძალადობასა და შევიწროებაზე. GBVH–ის შესახებ დაგეგმილია დამატებითი ტრენინგი GBVH-ის სახელმძღვანელოს გამოქვეყნების შემდეგ. (iii) შიდა სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება უფრო ფართო გენდერულ მოსაზრებებზე, რომელიც ეფუძნება 2019 წლის ESP-ს და მათთან დაკავშირებულ შესრულების მოთხოვნებს და ESD-ს ჩაუტარდება ტრენინგს, რათა დაეხმაროს პროექტებში გენდერული საკითხების/რისკების გადაჭრაში.

ქმედების სტატუსი: დასრულებული

მენეჯმენტის ქმედება 5: კონსულტაცია პროექტის დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის პროექტის სპონსორებთან, პროექტის გამსესხებლებთან, საქართველოს მთავრობის შესაბამის დეპარტამენტთან და დარგის საერთაშორისო და ადგილობრივად აღიარებულ ექსპერტებთან, რათა განისაზღვროს შესაბამისი შემდეგი ნაბიჯები პროექტის ESIA-ს კონტექსტში და PR7-ის სვანეთში გამოყენებადობის უფრო ფართო შინაარსთან დაკავშირებით.

ქმედების სტატუსი: ღია.

მენეჯმენტის ქმედება 6: მენეჯმენტი გააგრძელებს ურთიერთობას პროექტის სპონსორებთან და მათ მრჩევლებთან, რათა უზრუნველყოს კუმულაციური ზემოქმედების შეფასების (CIA) განახლება და გამოქვეყნება PCM-ის შესაბამისობის ანგარიშის რეკომენდაციების გასათვალისწინებლად.

ქმედების სტატუსი: ღია.

მენეჯმენტის ქმედება 7: მენეჯმენტი გააგრძელებს თანამშრომლობას პროექტის სპონსორებთან და მათ მრჩევლებთან, MAP-ის მესამე პუნქტის პარალელურად, ალტერნატივების შეფასებაზე რეაგირების მიზნით.

ქმედების სტატუსი: ღია.

მენეჯმენტის ქმედება 8: შემოთავაზებული ტექნიკური თანამშრომლობის პროექტის განხორციელება გაითვალისწინებს დასკვნებზე რეაგირებას გენდერულ და ინკლუზიის საკითხებთან დაკავშირებით. TC-ის ტექნიკური დავალება გაზიარებული იქნება PCM-ის ოფისთან და მოიცავს ორ ეტაპიან მიდგომას, პირველი - გენდერული ზემოქმედების შეფასების დამატებითი ეტაპი და მეორე, თავიდანვე გათვალისწინებული ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამა, რათა გასცდეს EBRD-ის ESP-ის შესაბამისობას.

ქმედების სტატუსი: ღია.

მენეჯმენტის ქმედება 9: მენეჯმენტი გააგრძელებს მსესხებელთან და მათ მრჩევლებთან ურთიერთობას, რათა უზრუნველყოს LALRP-ის განახლება PCM-ის შესაბამისობის მიმოხილვის რეკომენდაციების გასათვალისწინებლად, მათ შორისაა, უფლებების მატრიცის სპეციფიკურ ზღვრებზე მითითებების წაშლა.

ქმედების სტატუსი: დასრულებული

მენეჯმენტის ქმედება 10: მენეჯმენტი გააგრძელებს კლიენტებთან და მათ მრჩევლებთან ურთიერთობას, რათა უზრუნველყოს კულტურული მემკვიდრეობის გავლენის შეფასების განახლება, რომ მოხდეს PCM-ის შესაბამისობის მიმოხილვის რეკომენდაციების გათვალისწინება. განახლებული შეფასება შექმნის EPC-ის მენეჯმენტის გეგმების საფუძველს, რომელიც შემდგომ გადაიხედება პროექტის განხორციელების ადრეულ პერიოდში.

ქმედების სტატუსი: ღია.

მენეჯმენტის ქმედება 11: მენეჯმენტი თანამშრომლობს კლიენტთან, რათა ჩაატაროს გარემოს დაცვისა და სოციალური მმართველობის მიმოხილვა და შეაფასოს პროექტის შესაძლებლობების მოთხოვნები პროექტის სხვადასხვა ვალდებულებების შესაბამისად, რომ უზრუნველყოს გარემოს დაცვის და სოციალური მოთხოვნების სრულად ათვისება და განხორციელება. ამ შეფასების შედეგები გაზიარდება PCM–ის ოფისთან, მისი განვითარების კვალდაკვალ.

ქმედების სტატუსი: ღია.

4. მიღებული გამოცდილება და გამოწვევები

ნენსკრა ჰესის მართვის სამოქმედო გეგმის მონიტორინგმა მნიშვნელოვანი გამოცდილება შეგვძინა შესაბამისობის განხილვის შემდგომი მაკორექტირებელი ქმედებების შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესთან დაკავშირებით. ხსენებული საქმე აჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მკაფიოდ განვასხვავოთ სისტემური ქმედებები, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელია პროექტის პროგრესისგან დამოუკიდებლად და პროექტის ქმედებები, რომლებიც დამოკიდებულია პროექტის ციკლზე, დაფინანსების ეტაპებზე ან კლიენტის მიერ განხორციელებაზე. სისტემური ქმედებები დაგვიანებით, მაგრამ დასრულდა, პროექტის რამდენიმე ქმედების განხორციელება შეუძლებელი გახდა, რადგან პროექტი ჯერ გადაიდო და შემდეგ გაუქმდა.

მთავარი დასკვნა მდგომარეობს იმაში, რომ **მენეჯმენტის სამოქმედო გეგმები უნდა მოიცავდეს განხორციელების რეალისტურ ვადებს, განსაზღვრავდეს მოვლენათა ურთიერთდამოკიდებულებას და მექანიზმებს ვადების გადახედვისთვის გარემოებების ცვლილების შემთხვევაში**. ამ პროექტის შემთხვევაში, MAP-ის თავდაპირველ ვადებზე გავლენა იქონია Covid-19-ით გამოწვეულმა შეზღუდვებმა, პროექტის განხორციელების შეფერხებებმა და EPC კონტრაქტორის შეცვლამ. ამიტომ, IPAM-მა მოითხოვა ვადების გადახედვა და შესაბამისად შეიცვალა მონიტორინგის გრაფიკი. **ეს გამოცდილება ხაზს უსვამს პროექტის ეტაპებზე დამოკიდებული ქმედებების ადრეული იდენტიფიცირების და საბჭოსთვის გამჭვირვალე ანგარიშგების მნიშვნელობას, როდესაც განხორციელების თავდაპირველი ვადა აღარ არის რეალისტური.**

ეს საქმე ასევე წარმოაჩენს **დაინტერესებული მხარეების გონივრული ჩართულობისა და ინფორმაციის დროული გაზიარების გადამწყვეტ მნიშვნელობას,** მაკორიქტერებელი ღონისძიებების განხორციელებისას. მონიტორინგის პერიოდში, მოსარჩელეებმა არაერთხელ გამოთქვეს შეშფოთება, რომ ისინი და მათი მრჩევლები არ იყვნენ სათანადოდ ინფორმირებულნი ან კონსულტაციებში ჩართულნი MAP-ის ფარგლებში მომზადებულ კვლევებსა და ანგარიშებთან დაკავშირებით. ეს განსაკუთრებით აღსანიშნავია იმის გათვალისწინებით, რომ შესაბამისობის მიმოხილვის ძირითადი დასკვნები შეეხებოდა დაინტერესებული მხარეების არასაკმარის ჩართულობას და ინფორმაციის გაზიარების ნაკლოვანებებს. **შესაბამისად, MAP-ის მომავალმა განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს, რომ ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები და მათი მრჩევლები იღებდნენ დროულ, ხელმისაწვდომ და შესაბამის ინფორმაციას და რომ კონსულტაციის პროცესი დაიგეგმოს იმგვარად, რომ მათი გონივრული ჩართულობა უზრუნველყოფილი იყოს.**

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ამ პროცესის შედეგად გამოიკვეთა, ეხება **მენეჯმენტს, კლიენტსა და IPAM-ს შორის პროაქტიული კოორდინაციის აუცილებლობას. მონიტორინგის პერიოდებში** IPAM-მა განიხილა დოკუმენტები და მოითხოვა განმარტებები ძირითადი აქტივობების განხორციელების შემდეგ. ერთ შემთხვევაში, IPAM დროულად არ აცნობეს კულტურული მემკვიდრეობის ზემოქმედების შეფასებასთან დაკავშირებული კონსულტაციების შესახებ და დაკვირვების ნაცვლად, მოვლენის შემდეგ მოუწია მტკიცებულებების მოთხოვნა. **მომავალი საქმეების შემთხვევაში, მენეჯმენტმა და კლიენტებმა IPAM-ს წინასწარ უნდა აცნობონ მონიტორინგისთვის მნიშვნელოვანი ძირითადი ეტაპების შესახებ, განსაკუთრებით კონსულტაციების, ინფორმაციის გავრცელების და საველე საქმიანობის შესახებ.**

მონიტორინგის პროცესი ასევე აჩვენებს, რომ **პროექტის შეფერხებამ შეიძლება გამოიწვიოს შეუსაბამობა კვლევების ტექნიკურ დასრულებასა და MAP-ის ქმედებების დასრულებას შორის.** რამდენიმე შემთხვევაში, IPAM-მა განიხილა საბოლოო ან თითქმის საბოლოო ანგარიშები და დაადასტურა, რომ ისინი ითვალისწინებდნენ შესაბამისობის მიმოხილვის შესაბამის რეკომენდაციებს, თუმცა ქმედებების დასრულება შეუძლებელი იყო, რადგან გაზიარების, კონსულტაციების, განხორციელების საკითხები ან პროექტის ციკლზე დამოკიდებული კომპონენტები ჯერ კიდევ შესასრულებელი იყო. ეს ხაზს უსვამს, თუ რამდენად

მნიშვნელოვანია დასრულების მოთხოვნების სწორად განსაზღვრა, მაგალითად, იმის დადგენა საკმარისია თუ არა მხოლოდ დოკუმენტის შემუშავება, დოკუმენტის გაზიარება, კონსულტაციების უზრუნველყოფა თუ შესრულების დადასტურება.

და ბოლოს, საქმე ასახავს ანგარიშვალდებულების შენარჩუნების **მნიშვნელობას იმ შემთხვევებში, როდესაც პროექტი გაუქმებულია ან არსებითად იცვლება ყველა მაკორექტირებელი ქმედების დასრულებამდე.** დარჩენილი ღია ქმედებები პროექტზეა დამოკიდებული და მათი განხორციელება პროექტის გაუქმების შემდეგ შეუძლებელია. თუმცა, თუ ტრანზაქცია ხელახლა წარედგინება საბჭოს, შესაბამისი MAP ვალდებულებები ხელახლა უნდა ამოქმედდეს და განიხილებოდეს განახლებულ გარემოს დაცვის და სოციალურ სათანადო შემოწმებასთან, განახლებულ პოლიტიკის მოთხოვნებთან და დაინტერესებული მხარეების მიერ წამოჭრილ საკითხებთან ერთად.

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი მთავარი გამოწვევები:

- პროექტის განხორციელების გაჭიანურება, მათ შორის Covid-19-ით გამოწვეულ შეზღუდვებთან და EPC კონტრაქტორის შეცვლასთან დაკავშირებული შეფერხებები;
- რამდენიმე MAP ქმედების დამოკიდებულება პროექტის ეტაპებზე, რამაც შეზღუდა მენეჯმენტის შესაძლებლობა, დაესრულებინა ან გაეზიარებინა პროექტთან დაკავშირებული გარკვეული შედეგი;
- მომთხოვნების მხრიდან მუდმივი შეშფოთება შეზღუდული კონსულტაციების, ინფორმაციის არასაკმარისად გაზიარებისა და დაზარალებული თემებისა და მათი მრჩევლების შეზღუდული ჩართულობის შესახებ MAP-ის განხორციელებაში;
- შეფერხება სისტემური ქმედებების დასრულების პროცესში, მათ შორის ისეთი ქმედებები, რომლებიც ყოველთვის არ იყო დამოკიდებული პროექტის ციკლზე;
- გაურკვევლობა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოვექცეთ ტექნიკურად დასრულებულ, მაგრამ გამოუქვეყნებელ ან განუხორციელებელ კვლევებს MAP-ის დასრულების დასადგენად; და
- პირობითი ანგარიშვალდებულების შენარჩუნების აუცილებლობა იმ შემთხვევებში, როდესაც მონიტორინგი დახურულია პროექტის გაუქმების გამო, მაგრამ როდესაც უშუალოდ პროექტის ვალდებულებები შეიძლება კვლავ აქტუალური გახდეს, თუ პროექტი განახლდება ან ხელახლა იქნება წარმოდგენილი დასამტკიცებლად.

დასკვნა

IPAM ასრულებს 2018/08 საქმის მართვის სამოქმედო გეგმის მონიტორინგს იმ საფუძველზე, რომ ნენსკრას ჰესის პროექტი გაუქმდა და დარჩენილი ღია ქმედებები პროექტის განხორციელებასთანაა დაკავშირებული. ამ ვითარებაში, მონიტორინგის გაგრძელება არ წარმოადგენს განხორციელების შეფასების მნიშვნელოვან საფუძველს, რადგან დაუსრულებელი ქმედებები დამოკიდებულია პროექტის ციკლზე, რომელიც აღარ არის აქტიური.

დასრულება არ ცვლის შესაბამისობის მიმოხილვის ფარგლებში გამოვლენილ შეუსაბამობის დასკვნებს და არც აუქმებს უშუალოდ პროექტთან დაკავშირებული რეკომენდაციების რელევანტურობას. ეს უბრალოდ ასახავს იმ ფაქტს, რომ ეს ქმედებები ვერ სრულდება პროექტის გაუქმების გამო. სისტემური და პროცედურული ქმედებები დასრულებულია და ინსტიტუციურ ცოდნის ნაწილია მომავალი ოპერაციებისთვის, ხოლო უშუალოდ პროექტთან დაკავშირებული ქმედებები კვლავ აქტუალური რჩება იმ შემთხვევაში, თუ პროექტი განახლდება, არსებითად რესტრუქტურიზდება ან ხელახლა წარედგინება EBRD-ის საბჭოს დასამტკიცებლად.

თუ პროექტს კვლავ წარმოადგენენ EBRD-ის წინაშე განსახილველად, მენეჯმენტმა უნდა განაახლოს გარემოს დაცვის და სოციალური წინასწარი კვლევა - განახლებული პოლიტიკის მოთხოვნების, პროექტის კონტექსტში ცვლილებების, ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემებისა და მათი მრჩევლების მიერ გამოთქმული შეშფოთების და MAP-ის შეუსრულებელი ქმედებების გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში, IPAM-ის მოლოდინია, რომ MAP-ით გათვალისწინებული შესაბამისი ვალდებულებები ხელახლა ამოქმედდება და შესრულდება, დაფინანსების შესახებ ნებისმიერი განახლებული გადაწყვეტილების მიღებამდე.

შესაბამისად, მონიტორინგის დასრულება პირობითია და არ აუქმებს მომავალ ანგარიშვალდებულებას. ის ინარჩუნებს შესაბამისობის მიმოხილვის დასკვნებს, აღრიცხავს მენეჯმენტის ვალდებულებების შესრულების სტატუსს და უზრუნველყოფს, რომ დარჩენილი პროექტთან დაკავშირებული საკითხების განხილვა განახლდეს იმ შემთხვევაში თუ პროექტი განახლდება ფორმით, რომელიც მოითხოვს EBRD-ის დამტკიცებას ან მხარდაჭერას.

ეს ანგარიში გამოქვეყნდება IPAM-ის საქმის რეესტრში ვებ-ფაილის ფორმით, საქმე 2018/06-ის სახელით, ინგლისურ და ქართულ ენებზე, EBRD-ის დირექტორთა საბჭოსა და პრეზიდენტისთვის ინფორმაციის მისაღებად წარდგენის შემდეგ. ანგარიშის გამოქვეყნებისთანავე, ამ საქმის დამუშავება ოფიციალურად დასრულდება.